ცნობის ფურცელი

№ 1819 კვირა, 26 მაისი **1896—1902** ყოველ-დღიური გამოცემა № 1819

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—1? კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაზქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პერდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ამ ნომერთან ხელის მომწერლებს ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-42 №-რი

გაზეთ „ცნობის ფურცელის“ ცალკე ნომერი ღირს ყველა გამყიდველებთან **3** კაპ., სურათებიანი დამატებით **5** კაპ.

დღეს, **26** მაისს, სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში გაიმართება საინტერესო **სეირნობა** და **საქველმოქმედო ბაზარი** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათიდან. თუ ავდარი იქნა, სეირნობა გადაიდება 2 ივნისისათვის.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. ბედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. მოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

პ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები - მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- **ტელეფონი № 274.** (წლ.)

კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდება 28 მაისს, საღამოს 8 საათზე არტისტიულ საზოგადოების შენობაში. წესდების მე-8 მუხლის ძალით საზოგადო კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც საწევრო ფული აქვთ გადახდილი, ამიტომ გამგეობა სთხოვს წევრებს შემოიტანონ ეს გადასახადი. (უ. 3—2)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეა: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ბებია

ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლომ რიგზე. (0—9)

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 25 მაისს, **ხელმწიფე-დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის** დაბადების დღეს ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში, გორისა და ალავერდის ეპისკოპოსებმა ბენიამინემ და დიმიტრიმ ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით შეასრულეს სადღესასწაულო წირვა და შემდეგ პარაკლისი. დაესწრნენ: კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კავკასიის სამხედრო კორპუსის უფროსი თავ. ამირეჯიბი, გუბერნატორი სვეჩინი, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი საგინაშვილი, ქალაქის წარმომადგენელნი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი ზავადსკი, გენერლობა და გარეშე მლოცველნი. წირვის გათავების შემდეგ არსენალის მთიდან 21-ჯერ დასცალეს ზარბაზანი. დილით ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით, ხოლო საღამოს გაჩირაღდნებული.

◆ გუშინ, 25 მაისს, **ქართველ დედათა სამკერვალოსა** და სახელოსნო სკოლის დარბაზში (ბარონის ქუჩაზე) სკოლის სამზრუნველო გამგეობის მეთაურობით გაიმართა სკოლის წლიური აქტი. სააქტო დარბაზში, რომელიც მორთული იყო ყვავილებითა და ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათებით, დიდ-ძალი საზოგადოება შეგროვდა და ტევა აღარ იყო. აქტის დროს სამკერვალო სკოლის მოწაფეებმა მოხდენილად წაიკითხეს ქართული ლექსები და, ბ. ნ. მონადირაშვილის ლოტბარობით, შეასრულეს რამდენიმე ქართული სიმღერა. სააქტო დარბაზში, სახელოსნო სკოლის გამგის განკარგულებით, გამოფენილი იყო მოსწავლე ქალთა ნაწარმოებნი, რომელთაგან ბევრი რამ ძალიან მოეწონა დამსწრე საზოგადოებას.

◆ პარიზიდან გვატყობინებენ, რომ **ბ. თედო ჟორდანია** რეიმსის სამეცნიერო აკადემიას თავის წევრად-კორესპონდენტად აურჩევია.

◆ ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, პარასკევს, 24 მაისს, მოხდა საზოგადო **კრება** ტფ. სამოსამართლო ოლქის **ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა.** საზოგადო კრებამ მოისმინა და დაამტკიცა ვექილთა კომისიის მოქმედების ანგარიში და ამასთანავე მადლობა გამოუცხადა კომისიის წევრთ სასარგებლო მოღვაწეობისათვის. შემდეგ მოხდა არჩევნები; კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ისევ პ. ა. ოპოჩინინი, მის ამხანაგად ნ. ა. ქალანთარი, წევრებად—ს. ს. მელიქ-ადამოვი, ა. მ. ჭყონია, ი. ა. გუნცაძე, ვ. ნ. პახომოვი და ვ. ი. ელიაზაროვი; მათ კანდიდატებად—ა. ე. ხატისოვი, ა. პ. ბარხუდაროვი, ვ. ი. დრაგნევიჩი და ლ. ს. სტალინსკი.

◆ „კავკაზს“ ატყობინებენ, რომ ტფილისში მცხოვრებმა მაჰმედ შაჰტახტინსკიმ შუამდგომლობა აღძრა, ვის წინაშეც ჯერ არს, ნება მიეცეს მას გამოსცეს ტფილისში, ცენზურის ნება-რთვით, **გაზეთი ადერბეიჯანურ ენაზე**, სახელად—„რუსის აღმოსავლეთი“ („შიარქი რუს“) ორის დამატებით—რუსულს და სპარსულ ენებზე. ეს გაზეთი გამოვა კვირაში სამჯერ, პროვინციალური გაზეთის ჩვეულებრივის პროგრამით; ეღირება გაზეთი წელიწადში შვიდ მანეთად და ექვს-ექვს მანეთადაც თითო დამატება.

◆ ქუთაისიდან იუწყებიან, რომ ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოსი იმერეთისა კვირას, 26 მაისს, მიემგზავრება სარევიზიოდ გამოჩინებულის საბლაღოჩინოში, ქვემო იმერეთში; ეს რევიზია შარშანდელის გაგრძელება იქნება, როდესაც ყოვლად სამღვდელომ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დაბრკოლება შეხვდა, მეტადრე უხეირო გზების გამო, დაათვალიერა უშორესი და მიუდგომელი ნაწილი იმერეთის ეპარქიისა—სვანეთი და აგრეთვე რაჭა და ლეჩხუმი, სადაც ეპისკოპოსს ადვილად შეეძლო გაეცნო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ეკლესიებისა და საეკლესიო-სამრევლო სკოლების მდგომარეობა. ამ ზაფხულს ყოვლად სამღვდელოს განზრახვა აქვს დაათვალიეროს დანარჩენი ნაწილები ეპარქიისა.

◆ რუსეთიდან გადმოსახლებულთა კავკასიის დამხმარებელ საზოგადოებას თავის ხარჯით გაუმართავს **გადმოსახლებულთათვის სადგური** ტფილისში; ამ სადგურზე გადმოსახლებულთ ეძლევათ ბინაც და სურსათიც. რადგანაც ზემო მოყვანილ საზოგადოებას შეძლება ნაკლებადა აქვს, ამისათვის საზოგადოებამ მიმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით, იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ საზოგადოებას ასი მანეთით დახმარება აღმოუჩინოს იმ ხარჯის სამაგიეროდ, რომელსაც საზოგადოება აძლევს ქალაქს წყალში.

◆ ხვალ, 27 მაისს, **ტფილისის ქალაქის საბჭოს** განსახილველად აქვს ძველ 14 საქმეს გარდა რამდენიმე ახალი საქმეც.

◆ ტფილისის სასწავლებელთა გამგე—კომისიამ სთხოვა ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობას იქირავონ **ახალი სადგომი** ვერის საქალაქო მეორე სასწავლებლის მოსათავსებლად.

◆ სათავად-აზნაურო სკოლის სახლის აღმშენებელი კომიტეტი დიდ მადლობას უცხადებს დეკანოზს სოლომონ ელიოზიშვილს, რომელმაც სკოლის შენობისათვის შემოსწირა ათი თუმანი.

◆ სოფ. ნუკრიანიდან (სიღნაღის მაზრა) გვწერენ: 23 მაისს ღამით, ნუკრიანში, ისაკ ხატიაშვილის სამჭედლო დუქანში ყელი გამოსჭრეს მძინარე ქარგალს. ღამე დუქანში დარჩენილა და სძინებია; ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გვერდის კარის ჩანგალი ამოუღიათ, შესულან და მოუკლავთ უბედური. სცოდავს ერთი მოხუცებული მამა ჭკუადია შესანახი; თითონ 22 წლისა ყოფილა.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ წერილში ოზურგეთიდან შემდეგი შეცდომაა: „დაბეჭდილია—19 და 20 მაისს, ოზურგეთში ი. ა. ლაზარენკოს თავმჯდომარეობით მოხდა გურიის ამხანაგობა „შუამავლის“ წევრთა კრება“... უნდა იყოს: კ ე რ ძ ო კ რ ე ბ ა. ამ კერძო კრებას არავითარი კავშირი არა აქვს ძველი გამგის ს. ჟღენტის მიერ 19 მაისისათვის დანიშნულ კრებასთან, რომელიც სრულიადაც არ შესდგა.

◆ 24 მაისს, გოლოვინის პროსპექტზე, ოქოევის სახლში, სულხანოვის ნავთის დუქნიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუპარავთ დიდძალი ნავთი. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს ტფილისის ერთს მოქალაქე უსანესოვზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილში, მამა-დავითის მოედანზე, 24 მაისს დილით შემდეგი უბედურება მოხდა: აქ გამრეკელოვის სახლს იჯარით აშენებს არლუთინსკი. მეორე სართულიდან მუშებს ჩაუტყდათ სუსტად მოწყობილი ხარაჩო და იქიდან ძირს ჩამოვარდა ერთი მუშათაგანი, მაკარ ზაქაროვი, რომელიც მძიმედ დაშავდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ 24 მაისს, პოლიციის მე-7 ნაწილში, ორთაჭალაში რაღაც მიზეზისა გამო ჩხუბი მოსვლიათ ანტონ ზაქაროვსა და სარქის გოგიაშვილს, ჩხუბის დროს ზაქაროვი იმდენად გამწარებულა, რომ უძვრია ჯიბის დანა და მარჯვენა გვერდში დაუკრია გოგიაშვილი. გოგიაშვილი მიხეილის მამკურნალოში გაგზავნეს. ზაქაროვი პოლიციამ უკვე დააპატიმრა.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში წელს 28 მოწაფემ დაასრულა კურსი. მათ შორის 27 ქართველია და ერთი რუსი. აი იმათი სახელი და გვარი, ვინც 1-ლის ხარისხით კურსი დაამთავრა:

კილურაძე ლავრენტი, გიორგაძე გრიგოლი, ებანოიძე ბიკტორი, ვეკუა ვლადიმერ, კანდელაკი კონსტანტინე, ბურჯანაძე იოაკიმე, ჩიხლაძე ევსევი, ჩხეტია ალექსანდრე, კანდელაკი მელქისედექ, ნანეიშვილი რაჟდენ, მინდელი იორდანე, ცინცაძე ვლადიმერი, ქორქოლიანი ანტონ, იამანიძე ნესტორ, ბუკია ნიკოლოზი. მეორე ხარისხით: ალშიბაია ვიაჩესლავ, ანთაძე იპოლიტე, ძაძამიშვილი კირილე, კუპრაძე მანუელი, ფიჩხაია აკაკი, თებზაძე ივანე, ხანთაძე ანდრია, ჩოხონელიძე ევსევი, შალამბერიძე ევგენი, შოთაძე გიორგი, ემუხვარი დიმიტრი, ლომიძე ვარლამ, ნაუმენკო ანანი.

სემინარიის პედაგოგიურ საბჭოს დაუდგენია სწავლა დამთავრებულთა რიცხვში გიორგაძე და ებანოიძე გაგზავნონ სახელმწიფო ხარჯით; ერთ მათგანს კილურაძეს განზრახვა აქვს საზღვარ-გარედ წავიდეს სწავლის განსაგრძობად. აგრეთვე სწავლის განგრძობა უმაღლეს სასწავლებელში სურთ შემდეგ ყმაწვილებს: ბურჯანაძეს, ნანეიშვილს, იამანიძეს, ქორქოლიანს, ბუკიას და ცინცაძეს.

∽ აქამდის გამუდმებული სიცხე, ქარი და მტვერი გვაწუხებდა, ეხლა მუდმივმა წვიმებმა წაიღეს ილაჯი; წვიმებმა მუშაობას ხელი შეუშალეს; ჯერ, როგორც გვატყობინებენ, ბევრ ალაგს სიმიდის თესვაც არ დაუსრულებიათ.

∽ ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოებას 23 მაისისათვის მეორედ ჰქონდა ქალაქის ბაღში დანიშნული სეირნობა ბავშვების გასართობებით და სათამაშოებით; მაგრამ სეირნობა არ შესდგა ცუდი ამინდების გამო და გადაიდგა სხვა დროისათვის.

პრესსა

ამას წინად ჩვენი სოხუმელი კორესპონდენტი, სხვათა შორის, სწერდა, რომ აფხაზეთში მთავრობის მოსპობის შემდეგ შავი ზღვის ნაპირა ადგილები დაცარიელდა და „იმ დროს ჩვენ გლეხკაცობას გულშემატკივარი ვინმე რომ ჰყოლოდა—მთელი ეს მშვენიერი მხარე ქართველებით იქნებოდა დასახლებული“. ეს სიტყვები ძალიან საწყენად დარჩენია პატივცემულს ბ. ი. გოგებაშვილს და „ივერია“-ში დაუსტამბავს (იხ. № 108) წერილი „უსამართლო ბრალდება“. ბ. გოგებაშვილი ცდილობს მესამოცე წლების ქართველ ინტელიგენციას თავიდან აიცილოს „მძიმე ბრალდება“. ამისათვის ის მოგვითხრობს ისტორიას თავის წერილებისას ამ საგნის შესახებ. სხვა რა გააკეთა ამ საქმისათვის ქართველმა ინტელიგენციამ, ბ. გოგებაშვილის წერილში არაფერია და ამიტომ უნდა ვიკმაროთ ის, რაც ბ. გოგებაშვილმა გვამცნო. პატივცემულის ავტორის სიტყვით,

> რადგანაც ამ დიდი საკითხის გადაწყვეტა მთავრობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ სტატია დავწერე რუსულად და დავბეჭდე 1878 წელს „Тифлисскій Вѣстникъ“-ში, რომლის მუდმივი თანამშრომელი ვიყავი მაშინ. წერილი პატარა არ იყო და ორს ნომერში იქმნა დაბეჭდილი მე-

თაურად. ამ წერილში მე ის აზრი გამყვანდა, რომ საუკეთესო მოსახლეთა კონტინგენტს დაცარიელებულის აფხაზეთისათვის შეადგენენ მეგრელები, ბარის იმერლები და ბარისავე გურულები მეთქი. ამ წერილის წინაალმდეგ „კავკაზში“ დაბეჭდა ფელეტონი მაშინდელმა სოხუმის ოკრუგის უფროსმა ბ-მა ვედენსკიმა. მაშინ მე მის. პასუხად საკითხი უფრო ფართოდ დავაყენე, საგანი გამოვიკვლიე ყოველი მხრივ და დავწერე ვრცელი წერილი, რომელიც იმავ გაზეთში დაბეჭდილ იქმნა მეთაურებადვე თორმეტს ნომერში ზედიზედ. მე მოველოდებოდი მეორედ გამოლაშქრებას ვედენსკის მხრივ; მაგრამ სასიამოვნოდ მოვტყუვდი. ეს ავტორი პირადად გამოცხადდა გაზეთის რედაქციაში და ჩვენდა განსაცვიფრებლად, უთხრა რედაქტორს თავადს ბებუთოვს: „ვსდებ კალამს და არამც თუ ერთს სიტყვასაც აღარ ვიტყვი წინააღმდეგ, არამედ ამ დღიდგან მოსარჩლე შევიქმნები იმ აზრისა, რომელიც სრული საფუძვლიანობით არის განმარტებული თქვენს გაზეთშიო.“ და ასეც მოიქცა. ასეთი ჯენტლმენური, ასეთი უპატიოსნესი საქციელი ძნელი დასაჯერებელია მეტადრე ეხლა, როცა მოკამათენი მზად არიან ერთმანეთს შეაკვდნენ, მაშინაც კი, როდესაც გრძნობენ თავისს უსაფუძვლობას და უსამართლობასა. მაგრამ ფაქტი ნამდვილია და, თუ გნებავთ, ეს ფაქტი ასე მშრალად არ მოხდა, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, არამედ უფრო საგრძნობელი სახე ჰქონდა.

საქმე უფრო შორს წავიდა. ამავე აზრს გამოუჩნდა ერთი ასად უფრო ძლიერი მოსარჩლე. იმ დროს კავკასიის სანამესტნიკოში მეორე ადგილი ეჭირა სტაროსელსკისა, ფრიად განათლებულს, კეთილგონიერს და სამართლიანს გვამსა. ამან შეადგინა პროექტი შესახებ აფხაზეთის დასახლებისა და იგივე აზრი გამოსთქვა, რომელიც ჩემს წერილში იყო განმარტებული, თავისი მოსაზრებანი გაამართლა თურმე, სხვათა შორის, ციტატებით ჩემი წერილიდგან, როგორც ამაში დამარწმუნეს სტაროსელსკისთან დაახლოვებულმა პირებმა და, სხვათა შორის, გიორგი მიხეილის ძემ თუმანიშვილმა, რომელიც მაშინ მსახურებდა სანამესტნიკოს კანცელარიაში.

სტაროსელსკის პროექტი გაიგზავნა პეტერბურგში და ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ იგი შეწყნარებულ იქმნებოდა უმაღლესი მთავრობისაგან. მაგრამ შეიტყო თუ არა ეს კატკოვმა, რომელსაც მაშინ საარაკო გავლენა ჰქონდა მთელს რუსეთზე, მორთო ერთი ღრიანცელი თავის გაზეთში „**Московскія Вѣдомости**“. სტაროსელსკის აზრს იგი სთვლიდა მავნებელ აზრად, თითქმის მოღალატეობას ადარებდა, და თხოულობდა, რომ დაცარიელებულს ადგილებზედ გადაესახლებინათ შიდა რუსეთიდგან გლეხები. კატკოვმა თავისი გაიყვანა და წაღმა წამავალი საქმე უკუღმა დაატრიალა.

ამგვარი სამსახური გაუწევია ბ. გოგებაშვილს ჩვენის ხალხისათვის, „ცნ. ფურცელმა“-კი ეს ამბავი არ მოიხსენია თავისის უვიცობის გამო! ნეტარ არს გულუბრყვილო მორწმუნე, რომელსაც ჰგონია, რომ თორმეტი მეთაური წერილით შეიძლება ასეთის საქმის მოწყობა. თავის გულუბრყვილობით მას არც ესმის, რომ ამ საქმეში სწორედ სიჩუმე იყო საჭირო და საქმეს სულ სხვა გზით უნდოდა გაკეთება. ჩვენს უმიწაწყლო გლეხობას რომ ნამდვილი გზის მაჩვენებელი ჰყოლოდა, შეიძლება, ბევრი რამ გაკეთებულიყო. სამწუხაროდ, მაშინდელ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელს ჰგონებია, რომ „ტიფლ. ვესტნ.“-ში მეთაურების დაბეჭდვით გადაწყვეტდა ასეთს დიდს საქმეს.

წერილი ბაქოდან

(საქართველოს ეგზარხოსის ჩამოსვლა ბაქოში.—ქალაქის თვით-მმართველობის ფინანსიური მდგომარეობა)

22-ს მაისს ბაქოში ჩამოვიდა საქართველოს ექსარხოსი ალექსი. რკინის გზის სადგურზე მიეგებნენ მის მეუფებას ბაქოს გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, პოლიცმეისტერი, ქალაქის თავის მოადგილე და აქაური სამღვდელოება. ქალაქის თავის მოადგილემ მიართვა პურ-მარილი. სადგურიდან მისი მეუფება წაბრძანდა საკრებულო ტაძარში, სადაც გადაიხადეს პარაკლისი და შემდეგ მიჰმართა ხალხს შესაფერი სიტყვით. როგორც ტაძარი, ისე გალავანი გაჭედილი იყო ხალხით. პარაკლისის შემდეგ ექსარხოსმა ინახულა სამრევლო სკოლა, რომელიც დაარსებულია 1888 წლის 17 ოქტომბრის სახსოვრად. 23-ს მაისს, ამაღლების დამეს, ექსარხოსმა სწირა აქაური სამღვდელოების მონაწილეობით საკრებულო ტაძარში. წირვას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. წირვის შემდეგ დაათვალიერა აქაურ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიები. სადამოს მისი მეუფება მიწვეული იყო სასულიერო კონცერტზე, რომელიც გამართა აქაურმა კირილე-მეთოდის საზოგადოების ძმობამ თავისი არსებობის 15 წლის გამო. კონცერტს, ექსარხოსის გარდა, დიდი საზოგადოება დაესწრო. საზოგადოების კრებაზე, მანამ კონცერტი დაიწყებოდა, წაიკითხეს საზოგადოების ანგარიში.

24-ს მაისს მისი უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ინახულებს ბაქოს ზოგიერთ სასწავლებლებს და სადამოთი დაბრუნდება ტფილისში.

ბაქოს საბჭო ამ უკანასკნელ დროს დიდი მუყაითით შეუდგა ქალაქის ხარჯთა-აღრიცხვას და, როგორც აღმოჩნდა, ქალაქს ორმოცი-ათას თუმნამდის ვალი დასდებია. ამ ამბავმა დიდ საგონებელში ჩააგდო ქალაქის მამები. ხარჯის შესამცირებლად საბჭომ საკვირველ საშუალებას მიჰმართა: განიზრახა საბრალო ქალაქის მასწავლებლებისა და დაბალ-მოხელეთა ჯამაგირების დაჯილდოვების შემოკლება! ბაქოს, როგორც მოგეხსენებათ, თავისი განსაკუთრებულ პირობების წყალობით, სხვა ქალაქებთან შედარებით, დიდი შემოსავალი აქვს, და მაშასადამე, არც ვალი ექნებოდა, რომ თავიანი ჭირისუფალი ჰყავდეს. ავიღოთ მრავალთაგან ერთი მაგალითი. დიდი ხანია, რაც ბევრი აქაური შეძლებული მოქალაქენი დაპატრონებიან ქალაქის ძვირფასს მამულებს. რადგან ქალაქის მამებმა ასეთი ადგილების ჩამორთმევა არ ინებეს, გადასწყვიტეს ვალის გადახდევინება. მაგრამ გულ-კეთილობისა გამო ჯერ იყიდა რამდენიმე წლის გადასახადი სრულიად აპატიეს, რადგანაც ზოგნი მათგანი ქალაქის მამების ძმები იყვნენ, ზოგნიც—ახლო ნათესავები. დანარჩენი წლების გადასახადი რომ შეეკრიბათ, მაინც კიდევ იმოდენა ჯამს შეადგენდა, რომ არა თუ ქალაქის ვალს დაჰფარავდა, არამედ კიდეც დარჩებოდათ. მაგრამ არ იქმნა—ამ ფულის შეკრება დღემდის ვერ მოუხერხებიათ, რადგანაც, როგორც კი ამ საგანზე საბჭოში ბაასი გაიმართება, სომხები სომეხ მოვალეებს აფარებენ ხელს, ხოლო მუსულმანები—კიდევ თავიანთ მოძმეებს და ამ სახით საქმე უძრავად რჩება.

ბაქოს ახლად არჩეული თავი ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული და ამიტომ ქალაქის ყველა საქმეები უთაურად მიმდინარეობს.

წყალტუბელი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 მაისი

კავკავი. კავკავის ოლქში, ურუხის ხეობაში, ნიადაგი დაიძრა: აული კამბულატი მთლად დაინგრა, სულ განადგურდა 450 დესეტინა სახნავი და სათიბი მიწა; მცხოვრებნი მშვიდობით გაახიზნეს მეზობელს აულში.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების სამმართველოს ალაგზე გუშინ ორ სართულიანი ქვითკირის სახლი ჩამოიქცა ინჟინერ პოზნიაკოვის მიწაზე; არავინ არ დაშავებულა, მაგრამ მდგმურების ქონება კი დაიღუპა.

რიაზანი. დღეს დაიწვა გამოფენის მთავარი პავილიონი, რომელიც სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ეკუთვნოდა.

ვარშავა. „გაზეთ პოლსკაია“-ს სიტყვით, ვარშავის კომერციულ სასწავლებელში სააგრონომიო კურსები იხსნება.

სარატოვი. ჯარების დასათვალიერებლად მოსულს ყაზანის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსს გენერალ კოსიჩს ქალაქი სადილს უმართავს.

დრეზდენი. მეფეს რომელიც რამდენიმე დღის წინად ავად გახდა, გუშინ ცუდად შეიქნა.

დრეზდენი. მეფეს ძლიერი სისუსტე აქვს.

ლონდონი. მარკიზ სალისბიურიმ დეპუტატთა პალატაში ჯარებს ქება შეასხა და აღნიშნა ერთგულება, რომელიც ახალშენებმა გამოიჩინეს. ინგლისი ეხლა უფრო ძლიერად ეჩვენება ქვეყანას, ვიდრე როდისმე. მისი მფლობელობა ზღვებზე და მსოფლიო მნიშვნელობა საკმაოდ იფარავდნენ მხარეს, რომელსაც ჯარები არ იცავდნენ, და არასოდეს არ გამოჩენილა ინგლისის ძლიერება ისე ნათლად, როგორც დიდი შიშიანობის დროს.

ლონდონი. პეკინიდან იტყობინებიან, რომ ბრიტანიის ჯარები ტიანძინში ბრძანებას ელიან, რომ შეამცირონ ჯარების რიცხვი.

ტამბოვი. „ტამბოვ. ვედომოსტი“ იუწყებიან, რომ, რადგანაც კონცესიონერებმა არ შეასრულეს ხელშეკრულობა ელექტრონის ტრამვაის გაკეთებაზე და ტამბოვის განათებაზე, საბჭომ გაუქმებულად სცნო ხელშეკრულება და 20,000 მანეთი საწინდრად შეტანილი ჩარიცხა საქალაქო კასაში.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული პირველ აპრილს სახელმწიფო საბჭოს აზრი—1902—1904 წლების საერობო ხარჯთ-აღრიცხვის და განაწილების დადგენაზე ევროპის რუსეთის 14 გუბერნიაში, რომელთაც საერობო დაწესებულებანი არა აქვთ და აგრეთვე ყუბანისა და თერგის ოლქებში.—დღეს საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და გაემართა ცარსკოე სელოში.—დღეს დაბრუნდა გიორგი მაქსიმილიანეს ძე რომანოვსკი, ჰერცოგი ლეიხტენბერგისა და ვორონეჟის გუბერნიიდან—პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგელისა.—დღეს ლანდგრაფი ჰესენისა პეტერბურგიდან წავიდა.

24 მაისი

პარიზი. კომბს დახმარება აღუთქვეს დელკასსემ, ანდრემ, პელეტანმა, ვალემ, შომიმ, ტრულიომ, დუმერგმა და მუჟომ.

პარიზი. ამბობენ, რომ ფინანსის მინისტრობას რუვიეს აძლევენ.

პარიზი. კაბინეტის წევრთა შემდეგი სია იქნება გამოცხადებული „ჟურნალ ოფიციალში“ კვირას: მინისტრ-პრეზიდენტი, შინაგან საქმეთა და სარწმუნოებისა—კომბი, იუსტიციისა—ვალე, გარეშე საქმეთა დელკასსე, სამხედრო—ანდრე, საზღვაო საქმეებისა—მარიუემული, განათლებისა—შომი, საზოგადო საქმეებისა—პელეტანი, კოლონიებისა—დუმერგი, ვაჭრობისა ტრულიუ და სამიწად-მოქმედო—მუჟო. ფინანსის მინისტრად უეჭველია რუვიე იქნება. კომბი კიდევ მოელაპარაკება რუვიეს და დარწმუნებულია დაითანხმოს ამაზე. თუ რუვიე უარს განაცხადებს—მინისტრობას დელორმს მისცემენ.

მოსკოვი. წითელი ჯვრის კონფერენციის წევრთ დაათვალიერეს „ივერიის ძმობა“ და დაესწრნენ წითელი ჯვრის გამგეობის მიერ გამართულ სადილს.

მოსკოვი. ჰმართავენ გამოფენას სურათებისას, რომლებიც გენრიხ სენკევიჩის ნაწარმოებთა დამასურათებელია.

ვლადივასტოკი. გუშინ ახალ გვირაბში გაიარა პირველმა მგზავრთა მატარებელმა. ხვალ დაიწყება მუდმივი მიმოსვლა.

განჯა. განჯის გუბერნიაში კარგს მოსავალს მოელიან. კალია ჩქარა გასწყვიტეს.

ხარკოვი. შემოდგომაზე იხსნება ქალთა სასოფლო-სამეურნეო კურსები.

ხარკოვი. ხერსონიდან მოსულმა თავად-აზნაურთა და საერობო დაწესებულებათა დეპუტაციამ ხერსონის გუბერნატორად ნამყოფს თავად ობოლენსკის მიუძღვნა ვერცხლის კოლოფი და ადრესი.

ჰააგა. დედოფალმა დღეს აუდიენციაზე მიიღო რუსეთის ელჩი, რომელმაც, ვითარცა უხუცესმა წევრმა დიპლომატიურ კორპუსისამ, რუსეთის სახელით მიულოცა დედოფალს თავის ქალის-დედოფლის—მშვიდობით განკურნება.

კონსტანტინეპოლი. ფუად-ფაშას, რომელმაც რევოლიუციონური მოქმედება ჩაიდინა, სამუდამოდ დაპატიმრება მიუსაჯეს.

კისსინგენი. აქ მოვიდა თავადი ჩერნოგორიისა სამკურნალოდ.

პარიზი. პარიზის პოლიტიკურ წრეებში ის აზრი ტრიალებს, რომ კომბი შეადგენს კაბინეტსაო.

პეტერბურგი. ერობათა განყოფილების მმართველი დეისტ. სტატ. სოვეტ. სავიჩი შინაგან საქმეთა სამინისტროს რჩევის წევრად დაინიშნა.

გადასახლებულთა რიცხვი ციმბირში 1901 წელს, როგორც „პრავიტ. ვესტნიკ.“-ი იუწყება, 128131 კაცია.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

განსადევი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ ხუთშაბათობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

„იუქნიე ნომერა“
(ბარონის ქუჩაზე, მანთაშევის სახლში)

სრულიად ახლად გადაკეთებულია, ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის ახლო. ნომრები 60 კაპ. დაწყებული; თვიურად—15 მან. და მეტი. სისუფთავე და კარგი წეს-რიგი. (6—2)

მუზეუმი
დაჰყოფს კიდევ 27 მაისამდის, ახლად განახლებული სურათებია და **კატასტროფა შემახაში**; ჰაერში მფრინავი ქალი და კინემატოგრაფი.
(5—318—4) პატივისცემით **ფ. ი. ფიც.**

ზ ი ა
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გერის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**).
ტელეფონი № 754. (.წ).

გუსტავ გაბრიელის ძე მალევსკი თავის წასვლისა გამო ქუთაისიდან
ძლიერ იაფ და ხელ-მისაწდომ ფასად
ჰყიდის ნაკვეთ მიწებს
ქალაქ ბათუმში—440 ოთხკუთ. საჟ.—100 საჟენის მანძილზე რკინის გზის სადგურიდან და ქალაქ ფოთში მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე; მე-15-ტე კვარტალში № 131—520 ოთხ-კუთ. საჟენი მე-17-ტე კვარტალში № 161—325 ოთხ. საჟენი და 162—520 საჟ.; მე-74-ე კვარტალში №№ 706 და 708—1100 საჟ. და საავარაკო ადგილს ზღვის ნაპირას 12,000 ოთხ კუთ. საჟენზე მეტი.

დაწვრილებით ყველაფრის გაგება შეიძლება თვით მალევსკისთან ქ. ქუთაისში ან ნაფიც ვექილ რ. მ. იურკევიჩთან ბათუმში, და ი. ზ. ბერძენიშვილთან ქ. ფოთში.
(5—320—5)

ელექტრონით მბეჭდავი სტ:მბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.